

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა  
და  
ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს  
შორის  
თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო, შემდგომში "მხარეებად" წოდებულნი,

ითვალისწინებენ რა აუცილებლობას ითანამშრომლონ მშვიდობის, სტაბილურობის, ნდობისა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გასამყარებლად, ევროპაში და მთელ მსოფლიოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის საბოლოო დასკვნითი აქტის და პარიზის ქარტიის ახალი ევროპისათვის.

აქვთ სურვილი გაამყარონ და გააძლიერონ თანამშრომლობა პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში.

აფასებენ რა დადებითად ევროპაში ინტეგრაციის პროცესს, გამოხატავენ თავიანთ სურვილს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

შეთანხმების მიზანი

1. თავიანთი პასუხისმგებლობების ფარგლებში და ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმებით მხარეები აცალიბებენ თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველს.

2. აღნიშნული შეთანხმება არ ზღუდავს თანამშრომლობის სფეროებსა და ფორმებს. მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ ითანამშრომლონ სხვა სფეროებშიც, რომლებსაც ურთიერთსასარგებლოდ ჩათვლიან.



გ. პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში, ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

დ. სამხედრო დამკვირვებლების მონაწილეობა სამხედრო წვრთნებში.

ე. საკონსულტაციო შეხვედრების ერთობლივი განხილვების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება კურსებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

#### მუხლი 4

#### თანამშრომლობის გეგმები

1. წინამდებარე შეთანხმების დებულებების განხორციელების მიზნით, მხარეთა მიერ დანიშნული წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი მოამზადებს წლიურ თანამშრომლობის გეგმებს.

2. სამუშაო ჯგუფი ყოველწლიურად შეიკრიბება თითოეული ქვეყნის ტერიტორიაზე ურთიერთმონაცვლეობით, რათა მოახდინონ მომავალი წლის თანამშრომლობის გეგმის კოორდინირება.

3. ყოველი წლის 15 დეკემბრამდე, უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ ყოველწლიურ თანამშრომლობის გეგმას.

#### მუხლი 5

#### ვიზიტების ორგანიზება

1. მხარეები ორგანიზებას გაუწევენ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებს, ურთიერთმონაცვლეობის საფუძველზე. მხარეები ფარავენ ვიზიტების ხარჯებს შემდეგნაირად.

2. ტრანსპორტირების ხარჯებს მასპინძელ ქვეყანაში ორმხრივად განსაზღვრულ ადგილამდე უზრუნველყოფს გამგზავნი ქვეყანა.

3. მასპინძელი ქვეყანა, გამგზავნი ქვეყნის დელეგაციის წევრებს უზრუნველყოფს შემდეგით:

ა. განთავსება და კვება.

ბ. ტრანსპორტირება მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვიზიტის პროგრამის გათვალისწინებით.

გ. კულტურული პროგრამა.

დ. სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

4. ყველა სხვა ხარჯები, რომლებიც წამოიჭრება თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროებში, განისაზღვრება დამატებით დებულებებში მხარეებს შორის ურთიერთმონაცვლეობის პრინციპის გარეშე.

## მუხლი 6 ინფორმაციის დაცვა

მხარეები უზრუნველყოფენ შეთანხმების განხორციელების დროს ურთიერთგაცვლილი ინფორმაციის დაცვას. მხარეები არ გადასცემენ ამგვარ ინფორმაციას მესამე მხარეს, მომწოდებელი მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

## მუხლი 7 იურისდიქცია

მასპინძელი მხარის ტერიტორიაზე ყოფნის განმავლობაში გამგზავნი მხარის წარმომადგენლებზე გავრცელდება მასპინძელი მხარის იურისდიქცია.

## მუხლი 8 დასკვნითი დებულებები

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლისათვის საჭირო შიდასახემწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან.


წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნას მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

თითოეული უთანხმოება, რომელიც წამოიჭრება მოცემული შეთანხმების ახსნა-განმარტებისა და განხორციელების დროს, მოგვარებული იქნება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით. მხარეები არ მიმართავენ მესამე მხარეს ან საერთაშორისო სასამართლოს.

შეთანხმება ძალაშია განუსაზღვრელი ვადით. ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს მისი მოქმედება მეორე მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ.

ხელმოწერილია ქ. რიგაში, 2002 წლის 29 მაისს. ორ ნამდვილ პირად,  
თითოეული ქართულ, ლატვიურ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ყველზე ტექსტი  
თანაბრად აუთენტურია. განმარტებისას უპირატესობა ენიჭება ტექსტს  
ინგლისურ ენაზე.

საქართველოს თავდაცვის  
საგინისტროს სახელით



დავით თევზაძე  
გენერალ-ლეიტენანტი  
თავდაცვის მინისტრი

ლატვიის რესპუბლიკის თავდაცვის  
საგინისტროს სახელით



ბირსტ ვალდის კრისტოვსკის  
თავდაცვის მინისტრი